დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის მოვალეობის

შემსრულებლის 2025 წლის 14 თებერვლის N 22 „ო“ ბრძანებით

სსიპ კოლეჯი ,,ერქვანი''

საზოგადოებასთან ურთიერთობის/კომუნიკაციის მექანიზმი

მუხლი1. სსიპ კოლეჯი ,,ერქვანის'' ,,საზოგადოებასთან ურთიერთობის/კომუნიკაციის მექანიზმი '' განსაზღვრავს დაინტერესებული მხარეების ინფორმირების მექანიზმებს, ცნობადობის ამაღლების ღონისძიებებს და მათი ჩატარების გზებს.აღწერს შიდა და გარე კომუნიკაციის წარმართვის პროცესს. ასევე ითვალისწინებს დაინტერესებული მხარეებისგან მიღებული უკუკავშირის გამოყენებას შემდგომში ეფექტური კომუნიკაციის მიზნებისათვის.

მუხლი2. საზოგადოებასთან ურთიერთობის მიზანია კოლეჯის იმიჯის წარმოჩენა, ცნობადობის ამაღლება, კოლეჯის საქმიანობის პოპულარიზაცია, შიდა და გარე საკომუნიკაციო სტრატეგიების ეფექტური გამოყენება ინფორმაციის ხელმისაწვდომობისთვის, საზოგადოების როლის გაზრდა კოლეჯის საქმიანობის გაუმჯობესებაში. საზოგადოების ინფორმირება კოლეჯისა და კოლეჯში მიმდინარე პროცესების შესახებ; კოლეჯსა და მის პარტნიორებს/დაინტერესებულ პირებს შორის ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და გამჭირვალობის უზრუნველყოფა.

მუხლი3. კოლეჯი საზოგადოებასთან ურთიერთობებისა და კომუნიკაციის პროცესს წარმართავს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული პიარ ჯგუფის მეშვეობით.

მუხლი4. კოლეჯის დირექტორის ბრძანებით შექმნილი პიარ ჯგუფი:

ა) უზრუნველყოფს კოლეჯის პოპულარიზაციისკენ, კოლეჯის ცნობადობის ამაღლებისკენ მიმართული ღონისძიებების დაგეგმვა-განხორციელებას;

ბ) პასუხისმგებელია კოლეჯის საკომუნიკაციო არხების (კოლეჯის ფეისბუქ გვერდი, ვებ გვერდი) მეშვეობით გავრცელებული ინფორმაციის სისწორეზე;

გ) საჭიროების წარმოქმნისთანავე, რეგულარულად ატარებს სამუშაო ჯგუფის შეხვედრებს;

დ) საქმიანობის შესახებ ანგარიშს, 6 თვეში ერთხელ ან საჭიროებიდან გამომდინარე, წარუდგენს დაწესებულების ხელმძღვანელს;

მუხლი5. კოლეჯის ყველა თანამშრომელი ვალდებულია კომპეტენციის ფარგლებში ითანამშრომლოს კოლეჯის პიარ ჯგუფთან. დროულად მიაწოდოს მოთხოვნილი ინფორმაცია, ასევე შეამოწმოს და საჭიროებისამებრ დააკორექტიროს მასალა გასაჯაროებამდე.

მუხლი6. კოლეჯი საზოგადოებასთან შესაბამისი ინფორმაციის მისაწოდებლად იყენებს : კოლეჯის ვებ გვერდს- www.erkvani.ge; სოციალურ ქსელს https://www.facebook.com/Koleji.erqvani/?locale=ka_GE; ელექტრონულ ფოსტას: koleji.erqvani@gmail.com ;

მუხლი7. კოლეჯის ვებგვერდი და სოციალური ქსელი წარმოადგენს კოლეჯის შესახებ ინფორმაციის გავრცელების მთავარ საშუალებებს.

ა) კოლეჯის ვებ გვერდზე დატალინია ყველა ის არსებითი ინფორმაცია, რაც იძლევა პროფესიულ განათლებაში კოლეჯის ადგილისა და როლის ამოცნობის საშუალებას (მაგ: ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ, დაწესებულების სტრუქტურა, დაწესებულების მისია, ხედვა ღირებულებები, მარეგულირებელი წესები და სხვ.)

ბ) ვებგვერდზე შესაძლებელია მარტივი ნავიგაცია, ინფორმაცია განთავსებულია ლოგიკურად დაჯგუფებულ დასათაურებულ მენიუში.

გ) სოციალურ ქსელსა და ვებ გვერდზე წარმოდგენილია საზოგადოების ინტერესის დასაკმაყოფილებლად გამიზნული ინფორმაცია და სიახლეები (კოლეჯში მიმდინარე პროცესები და აქტივობები, დაგეგმილი ღონისძიებები).

ე) ვებგვერდისა და სოციალური ქსელის მართვაზე, სწორი და დროული ინფორმაციის განთავსებაზე პასუხისმგებელია კოლეჯის პიარ ჯგუფი;

ვ)ვებ გვერდსა და სოციალურ ქსელზე განსათავსებელი ინფორმაცია პიარ ჯგუფს მიეწოდება კონკრეტულ აქტივობაზე , ინფორმაციაზე პასუხისმგებელი პირის მიერ;

მუხლი8. კოლეჯის პიარ ჯგუფი შეხვედრების ფორმატით ან/და ელექტრონული ფოსტის, სოციალური ქსელის, ვებ გვერდის , საინფორმაციო დაფის საშუალებით აცნობს ინფორმაციას კოლეჯის პერსონალსა და სტუდენტებს.

მუხლი9. კოლეჯი, ელექტრონულ ინფორმაციის სწრაფად გავრცელებისა და უკუკავშირის მოქნილად მოპოვებისთვის, უზრუნველყოფს პერსონალის და პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირებას ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმის/სისტემის გამოყენებით.

ა)კოლეჯის პერსონალისთვის ინფორმაციის მიწოდება ხდება ერთიანი ელექტრონული ფოსტით(დომენით შექმნილი).

ბ)კოლეჯის სტუდენტებთან კომუნიკაცია ხდება ელექტრონული ფოსტის -ის ერთიანი ჯგუფის საშუალებით. კოლეჯის სასწავლო პროცესისა და სასწავლო-საწარმოო პრაქტიკის მენეჯერი უზრუნველყოფს კოლეჯის სტუდენტების რელევანტური ელ.ფოსტების ბაზის შექმნასა და არ არსებობის შემთხვევაში უწევს სტუდენტს მხარდაჭერას ელექტრონული ფოსტის შექმნაში.

მუხლი10.კოლეჯი ახორციელებს სხვადასხვა საკომუნიკაციო საშუალებით, შეკითხვების, ინიციატივებისა და შენიშვნების ანალიზს, კოლეჯის შემდგომი განვითარებისთვისა და ხარისხის გასაუმჯობესებლად.